ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3708297

ნომერი: AR1559650

თარიღი : 21.11.2017

გაცემის თარიღი : 13.12.2017

გაცნობის თარიღი : 21.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 37 / ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 37 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , წყნეთის გზატკეცილი N37-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ ლაბაძე პ/ნ 01012004980
- თბილისი მცხეთის გას. N 13

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის №3677326 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 21 ნოემბრის №AR1559650 განცხადებით მომართა კახაბერ ლაბაძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის №3677326 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის №3677326 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილის N37-ში; ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილის N37-ში, მიმდებარედ; ქ. თბილისში წყნეთის გზატკეცილის N37-ის მიმდებარედ, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ: N 01.14.06.007.083, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: განაშენიანების ფართობად დაფიქსირებულია 42,6 კვ.მ ნაცვლად 290.3 კვ.მ-სა.
სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 21 ნოემბრის №AR1559650 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, შეადარა სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის №3677326 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის №3677326 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის №3677326 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: განაშენიანების ფართობად დაფიქსირდეს 290.3 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის №3677326 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის №3677326 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.